№ 196 მთავრობის მოამგე

საქართველოს რესპუბლიკა

ყოველდღიური გაზეთი წელიწადი პირველი

ფასი 1 მანეთი. ოთხშაბათი 3 სექტემბერი 1919 წ.

მთავრობის მოამბე, ყოველ დღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)
„საქართველოს რესპუბლიკა"
მიიღება ხელის მოწერა 1919 წლისათვის. ხელის მოწერის ფასი ერთი წლით 220 მ., ნახევარი წლ. 110 მ., 1 თვით 20 მ., ცალკე № ყველგან 1 მან. საგაზეთო განცხადებანი დადგენილი ნიხრით, ერთჯერ განცხადებანი შეთანხმებით. გაზეთზე ხელის მოწერა მიიღება დილის 9 ს. ნაშუადღ. 2 ს. ბარონის ქ. № 6, ტელეფონი 1—82

ქუთაისის სამაზრო ერობის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ მას ესაჭიროება სტატისტიკური განყოფილების გამგე. მსურველმა უნდა გადმოგზავნოს განათლების ცხრა და curriculum vitae ქუთაისის სამაზრო ერობაში გამგეობის წევრის მ. გვაშელის სახლზე ერთი კვირის ჯერ-ადგილობაში. პირობები სამსახურისა: თვიური ჯამაგირი 2000 მ. და დღიური. 1562 3—2

რესპუბლიკის ოფიცერთა საეკონომიო საზოგადოების ზედამხედველი კომიტეტი

ამით აცხადებს, რომ 15 სექტემბერს საზოგადოების შენობაში (კირკის ქ.) დილის 10 საათზე დანიშნულია საზოგადოების რწმუნებულთა საგანგებო კრება. კრებას უნდა დაესწრენ ყველა ის რწმუნებულები, რომელნიც უკვე იყვნენ პირველ კრებაზე ამ წლის აპრილის 15 ს, აგრეთვე ის რწმუნებულები, რომელნიც სხვა და სხვა მიზეზების გამო ვერ დაესწრენ პირველ კრებას. განსახილველია შემდეგი საკითხები: 1. სარევიზიო კომისიის მოხსენება წარსული წლის ანგარიშების შესახებ. 2. მოხსენება გამგეობის და ზედამხედველი კომიტეტისა საზოგადოების თანამედროვე მდგომარეობის შესახებ. 3. ფასდების განხილვა. 1572 2—2

საჭიროა ოჩამჩირის ახალი ტიპის გიმნაზიისათვის გამოცდილი გამგე.

არსებულ ჯამაგირზე ზევით ქალაქის გამგეობის მიერ მიეცემა 500 მანეთი თვეში. საჭიროა იმავე სასწავლებლისთვის აგრეთვე მასწავლებლებიც. თხოვნებით მიმართეთ განათლების სამინისტროს. ოჩამჩირის ქალაქის გამგეობა. 1178 5—5

ბორჯომის სახელოსნო სასწავლებელი

ამით აცხადებს, რომ 1 ლ ენკენისთვიდან საჭიროა საზეინკლო განყოფილების ხელმძღვანელი, და სამჭედლო განყოფილების ხელმძღვანელი. მსურველებმა უნდა მიმართონ დაწვრილებითი პირობების გასაგებად სასწავლებლის გმართველს ქ. ბორჯომში. 1263 8—1

ხილნალის სამაზრო საერობო გამგეობა

იწვევს სამაზრო საერობო სკოლების გამგეს, თვიური ჯამაგირი 2.000 მ., მოგზაურობის დროს მიეცემა დღიური. თხოვნით და შესაფერი საბუთებით მსურველთ უნდა მიჰმართონ ზემოხსენებულ გამგეობას.

ხილნალის სამაზრო საერობო გამგეობა.

1560 3—2

იყიდება

102 კვ. საჟენი მიწა საბურთალოზე. დაწვრილებითი ამბის შეტყობა შეიძლება, სოლოლაკში ბარისაშვილის ბუდკაში. 1234 2—2

ოფიციალური განყოფილება.

განკარგულებანი

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მიწათ-მოქმედების სამინისტროს უწყებისა.

2 ივლისი 1919 წ., № 209

დათხოვნილია: თანამდებობიდან და სრულიად სამსახურიდან თანახმად თხოვნისა ამა წლის 1 ივლისიდან უფროსი სპეციალისტი სასოფლო სამეურნეო ნაწილისა აგრონომი ბ. ნ. ზეიდლიცი.

3 ივლისი 1919 წ. № 210.

დათხოვნილია: თანამდებობიდან, როგორც არა შესაფერი პირი თავის დანიშნულებისათვის ვარციხის სახელმწიფო ბაღის აბხანაურის მევენახე ბუივლიშვილი.

ინიშნება: იმავე ბაღის მევენახეთ ამა წლის 5 ივლისიდან.

3 ივლისი 1919 წ. № 211.

ტფილისის საშუალო კულტურ-ტექნიკურ სასწავლებლის დამთავრებულ გიდრო-ტექნიკ ნიკოლოზ ნესტორის ძე საყვარელიძე მიღებულ იქნას სამსახურში წყალთა სამმართველოში და დაინიშნოს ტექნიკათ კახეთის წყალთა ნაწილში 550 მან. ჯამგირით თვეში დამატებით 50%.

4 ივლისი 1919 წ. № 212.

ინიშნება: აბასთუმნის ეროვნულ მამულის გამგის ყოფილ თანაშემწე არქიტექტორი (ხუროთ მოძღვარი) კაზიმირ სკოლიმოვსკი მიწათ მოქმედების მინისტრის რწმუნებლის განკარგულებაში აბასთუმანის კურორტების გამგებლობისათვის ამა წლის ივლისიდან.

4 ივლისი 1919 წ. № 213.

დათხოვნილია: თანამდებობიდან და სრულიად სამსახურიდან: წინანდალის სახელმწიფო მამულის მოხელე ვ. პ. კოსენკო ამა წლის 1 ივლისიდან.

ხელს აწერს მიწათ-მოქმედების მინისტრის ამხ. პ. გელეიშვილი.

5 ივლისი 1919 წ. № 214.

ინიშნება: ქუთაისის მევენახეობის და მეღვინეობის კომიტეტის უფროსი სპეციალისტი ბერიკაშვილი სპეციალისტად მეღვინეობისა და მევენახეობისა სასოფლო სამეურნეო განყოფილებასთან ამა წლის 1 ივლისიდან.

5 ივლისი 1919 წ. № 215.

დათხოვნილია: სამსახურიდან ჯამაგირის შენახვით ორი კვირით დასასვენებლად ამა წლის 10 ივლისიდან ვარციხის სახელმწიფო მამულის გამგე ბაკაშვილი.

გადაყვანილია: დროებით ვარციხის სახელმწიფო მამულის გამგეთ მეღვინეობის და მევენახეობის სპეციალისტი კ. მ. ბესევაშვილი.

7 ივლისი 1919 წ., № 216.

ინიშნება: სახელმწიფო მამულების „სინოპის" და „დიასკურიის" გამგეთ კ. ლ. ბრენერი ამა წლის 1 მაისიდან 1500 მან. ჯამაგირი თვეში.

8 ივლისი 1919 წ., № 217.

ინიშნება: მიწის მზომელი ხ. ვ. მოსკალენკო ტყის გამგის პირველ ხარისხის თანაშემწეთა თანამდებობის აღმასრულებლად.

8 ივლისი 1919 წ., № 218.

ინიშნება: ტ. მ. კოსტუმოვი დროებით მონტიოხის თანამდებობის აღმასრულებლად გიაურ არხის მამულში ამა წლის 5 ივლისიდან 1500 მან. ჯამაგირით თვეში.

8 ივლისი 1919 წ., № 219.

დათხოვნილია: თანამდებობიდან და სრულიად სამსახურიდან მიწათ-მოქმედების სამინისტროს სამეჯნაო განყოფილების უფროსი მიწის მზომელი ნიკოლოზ სეფერი თანახმად მისი თხოვნისა ამა წლის 1 ივლისიდან.

9 ივლისი 1919 წ., № 220.

ინიშნება: კ. ს. მასლოვი ტყის გამგის პირველ ხარისხის თანაშემწეთა თანამდებობის აღმასრულებლად.

10 ივლისი 1919 წ., 221.

გადაყვანილია: გ. კ. აბაკელია პირველი ხარისხის ბაღდადის ტყის მცველი ქუთაისის სატყეოში იმავე თანამდებობაზე.

10 ივლისი 1919 წ., № 222.

ინიშნება: ნ. ზ. დავითაშვილი ტყის გამგის მეორე ხარისხის თანაშემწეთა თანამდებობის აღმასრულებლად.

აღმატებულ იქნა: მეორე ხარისხის ტყის გამგის თანაშემწე ი. მ. დიაკონოვი. პირველ ხარისხით არის გადაყვანილი თანამდებობის აღმასრულებლად.

14 ივლისი 1919 წ., № 223.

ინიშნება: ტფილისის მიწის მზომელი სასწავლებლის კურს დამთავრებული ი. ა. რცხილაძე სამეჯნაო განყოფილების მიწის მზომლის თანაშემწეთ და ინჟენერი ტექნოლოგი კ. სოკოლოვი იმავე განყოფილების მიწის მზომლად ორივენი ამა წლის 1 ივლისიდან.

დათხოვნილია: თანამდებობიდან და სრულიად სამსახურიდან: მიწის მზომელი პფეიფერი თანახმად მისი თხოვნისა ამა წლის 1 ივლისიდან.

15 ივლისი 1919 წ., № 224.

ინიშნება: მიწათ-მოქმედების სამინისტროს ბუჰალტერის თანაშემწე ე. ვ. ჩერქეზიშვილი წინანდალის ეროვნული მამულის მოხელეთ ამა წლის 10 ივლისიდან.

18 ივლისი 1919 წ., № 225.

ინიშნება: ყოფილი უფროსი ტოპოგრაფი გუსაგი ანტონის ძე ხელევინსკი მიწათ მოქმედების სამინისტროს სამეჯნაო განყოფილების მიწის მზომლად.

19 ივლისი 1919 წ., № 226.

ინიშნება: დროებით ვ. ს. ქაჯაია სასოფლო სამეურნეო განყოფილების სექციის საქმის მწარმოებლად, ამა მკათათვის 21-დან ამ თანამდებობის კუთვნილ ჯამაგირის მიცემით.

19 ივლისი 1919 წ., № 227.

დათხოვნილია: თანამდებობიდან და სრულიად სამსახურიდან: მიწათ-მოქმედების სამინისტროს სტატისტიკურ განყოფილების სტატისტიკი სოკოლოვი ამა წლის 20 ივლისიდან.

21 ივლისი 1919 წ.; № 228.

ინიშნებიან: საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიის საძოვარ-საიჯარო განყოფილებაში, თანაშემწე კონტორჩიკისა თეოდორე ივანეს ძე გრანინი. კონტორჩიკი, ვლადიმერ დავითის ძე მდივნიშვილი კანტორჩიკის თანაშემწეთ 10 ივლისიდან 1919 წ.

დათხოვნილია: თანამდებობიდან და სრულიად სამსახურიდან საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიის საძოვარ-საიჯარო განყოფილებიდან გრიგორ ანტონის ძე ოვჩარი თანახმად თხოვნისა 5 ივლისიდან 1919 წ.

23 ივლისი 1919 წ., № 229.

გადაყენებულია და სრულიად დათხოვნილია თანამდებობიდან, როგორც შეუფერებელი თავის დანიშნულებისა, მევენახე ვარციხის სახელმწიფო ეროვნულ მამულისა ი. დ. ფრეიბერგი აგვისტოს 10 რიცხვიდან.

ინიშნება: იმავე რიცხვიდან მევენახეთ იმავე მამულისა მუკუზანის სახელმწიფო ეროვნულ მამულების ვენახებში მომუშავე სვიმონ ავალიანი.

24 ივლისი 1919 წ., № 230.

მიეცეს: მიწათ-მოქმედების სამინისტროს საინსპექტორო განყოფილების გამგეს ა. გ. ჭილაშვილს ზედმეტი მუშაობისათვის 200 მან. თვიურად ნაკვეთებიდან. ა. წ. 1 ივლისიდან.

24 ივლისი 1919 წ., № 231.

ინიშნებიან: სასოფლო-სამეურნეო და სახელმწიფო მამულის ინსპექტორი ა. ბ. როლლოვი მიწათ მოქმედების მინისტრის საბჭოს წევრად. აგრონომი ა. ნ. ვასილიევი სასოფლო სამეურნეო და სახელმწიფო მამულების ინსპექტორის თანამდებობის აღმასრულებლად ორივენი ა. წ. 1 აგვისტოდან.

26 ივლისი 1919 წ., № 232

დათხოვნილია: ტფილისის კულტურ-ტექნიკური სასწავლებლიდან შტატის მასწავლებელი ნიკოლოზ ლომ ძე კუსკოვი 1918 წლ. 1 მაისიდან, რადგან 4 თვის დასვენების შემდეგ არ გამოცხადდა სამსახურში.

28 ივლისი 1919 წ., № 233.

ინიშნება: გიორგი ზაქარიას ძე ვატიაშვილი მიწათ-მოქმედების სამინისტროს სამეჯნაო განყოფილების მიწის მზომლის თანაშემწეთ ა. წ. 18 ივლისიდან.

30 ივლისი 1919 წ., № 234.

დათხოვნილია თანამდებობიდან და სრულიად სამსახურიდან: ტფილისის მევენახეთა და მეღვინეობის საოლქო კომიტეტის ინსტრუქტორები კარეპაშვილი და ღვინოების ფალსიფიკაციის მებრძოლი აგენტები: გაბიჩვაძე, ჯიჯავაძე და მგებროვი ყველანი ა. წ. 1 აგვისტოდან.

29 ივლისი 1919 წ., № 235.

დათხოვნილია: სამსახურიდან, თანახმად თავის თხოვნისა, ოზურგეთის პლანტაციის საქმის მწარმოებელი ლუკა ჩავლელეშკილი ივლისის პირველიდან.

ინიშნება: ოზურგეთის პლანტაციის საქმის მწარმოებლის აღმასრულებლად დ. პოკროვსკაია პირველ მკათათვიდან ამ თანამდებობის კუთვნილი ჯამაგირის მიცემით.

31 ივლისი 1919 წ., № 236.

დათხოვნილია თანამდებობიდან და სრულიად სამსახურიდან: ტფილისის საოლქო მეღვინეობის და მევენახეობის კომიტეტის წამდეულობის სწყობის გამგე ვ. ი. ჯაფარიძე ა. წ. 1 აგვისტოდან.

31 ივლისი 1919 წ., № 237.

ინიშნება: მიწათ-მოქმედების სამეჯნაო განყოფილების მიწის მზომლის თანაშემწეთ ტფილისის პოლიტექნიკურ კურსებ დამთავრებული პ. ტ. ქუთათელაძე ა. წ. 1 აგვისტოდან.

დათხოვნილია თანამდებობიდან და სრულიად სამსახურიდან: მიწათ-მოქმედების სამინისტროს ბუჰალტერი ე. ა. ებანოიძე თანახმად თხოვნისა.

მიწათ-მოქმედების მინისტრი

ნ. ხიმერიკი.

სახალხო განათლების მინისტრისა.

11 აგვისტო 1919 წ., № 47.

ნოე მანუჩარის ძე ყიფიანი დანიშნულია საქართველოს მუზეუმის დირექტორად მიმდინარე წლის 1 აგვისტოდან.

16 აგვისტო, 1919 წ., № 48.

დამტკიცებულია: თელავის სომხურ გიმნაზიის დირექტორად სერგი არტემის ძე ცატუროვი 1919 წლის 1 აგვისტოდან.

სახალხო განათლების მინისტრის

ამხანაგი ნ. ცინცაძე.

იუსტიციის მინისტრისა.

20 აგვისტო 1919 წ., № 195.

დაინიშნა: სასამართლოს თანამდებობათა კანდიდატი მ. გ. დუშმანი სამუშაოებნის უბნის გამომძიებლის თანამდებობის აღმასრულებლად ა. წ. აგვისტოს 20-დან.

23 აგვისტო, 1919 წ., № 196.

დაინიშნა: ქუთაისის საგუბერნიო საპყრობილეს უფროსის თანამდებობის აღმასრულებლად პეტრე თეოფანეს ძე ბაქრაძე ა. წ. აგვისტოს 20 დან.

იუსტიციის მინისტრის მაგ. **ნ. ჭიჭოძე.**
დირექტორის მოვალ. აღმ. **ხ. ფალავა.**

არა ოფიციალური განყოფილება

ერობა.

ტფილისის გარეუბნის ერობაში.

სურსათის საჭიროება.

ტფილისის გარეუბნის სათემო ერობამ მოქმედება 20 ივნისიდან დაიწყო. მისი პირველი მიზანი იყო სოფლებთან დაახლოვებოდა მათი საჭიროებათა გაცნობა. სოფლების უდიდესი გაჭირვება სურსათის სიმცირეში გამოიხატება. თემის გამგეობამ 4 სოფელში დაარსა სასურსათო საწყობი, რომლის მიზანია ერთის მხრით სოფლებისთვის საჭირო სურსათის მიწვდენა, ხოლო მეორეს მხრით ზედმეტ საგნების გამოზიდვა. ტფილისის ახლო-მახლო მდებარე სოფლები ჯერ კიდევ მშვიდობიანობის დროს განიცდიდნენ სურსათის სიმცირეს და ქალაქში ყიდულობდნენ პურს. სათემო ერობას ზომები აქვს მიღებული სოფლებისთვის პურისა და სიმინდის შესაძენად,

ტომატის ქარხნის გახსნა.

ტფილისის გარეუბნის სათემო ერობას განზრახული აქვს ს. დიღომში სატომატო ქარხანა მოაწყოს.

წისქვილების შეკეთება.

ტფილისის გარეუბნის სათემო ერობა აპირებს წისქვილების შეკეთებას სოფლებში და ახალ წისქვილის გახსნას მტკვრის პირად.

სათემო ერობათა ყრილობა.

6 სექტემბრისთვის მოწვეულია ტფილისის მაზრის თემთა ყრილობა სათემო ერობათა ურთიერთ დამოკიდებულების და მათი საზღვრების შემუშავების საკითხის გამოსარკვევად და სათემო ერობათა მოქმედების დროებითი წესდების შესამუშავებლად

ერობა და ადმინისტრაცია.

ტფილისის გარეუბნებში სათემო საერობო ადმინისტრაცია ამ ჟამად თითქმის ყველგან სათანადო სიმაღლეზე დგას. საქმეს აფერხებს ჯამაგირების სიმცირე. მაგალითად, კომისარი თვეში 600 მან. იღების, საქმის მწარმოებელი 500 მანეთს, ამაში შედის საკანცელარიო ხარჯებიც. ამის გამო კომისრები სამსახურს თავს ანებებენ. განზრახულია ერობამ თავისი მეორე თანხიდან მოუმატოს ჯამაგირები მათ დროებით, მთავრობის მიერ დახმარების აღმოჩენამდე.

ეპიდემიასთან ბრძოლა.

განზრახულია მოკლე ხანში მათი მოწყობა სოფლად. მიღებულია წინასწარი ზომები ეპიდემიების თავიდან ასაცილებლად, თუმცა ჯერ-ჯერობით ავადმყოფობანი სრულებით არ არის.

ახალი სკოლების გახსნა.

ტფილისის გარეუბნის სათემო მომავალ სექტემბრიდან ხსნის 4 ახალ სკოლას, რომელთათვისაც შენობები უკვე მზადაა. თითქმის ყველა არსებულ სოფლის სკოლების შენობებს სჭირია შეკეთება, რასაც უკვე შეუდგნენ და 10 სექტემბრისთვის დასრულდება.

ერობა და კოოპერატივები.

ტფილისის სათემო ერობებში გარდა დიღომისა, ყველგან კოოპერატივები აღარ მოქმედებს, ინვენტარის გარდა ხშირად აღარაფერი მოიპოვება. სადაც კი არსებობს კოოპერატივი, ყველგან სათემო ერობა მათთან თანხმობით მოქმედებს და საქონელს მათაც უზიარებს; ზოგან გაერთიანდა კიდეც ორივე ორგანიზაციის მოქმედება, ხოლო კოოპერატივები ცალკე აწარმოებენ კოოპერატივთა კავშირისგან მიღებულ საქონლის ანგარიშს და როდესაც ცხოვრება ნორმალურ კალაპოტში ჩადგება, ერობის საწყობები კოოპერატივებს გადაეცემა.

გზების უქონლობა.

ტფილისის ახლო-მახლო სოფლებში გზები ძალიან ცუდ მდგომარეობაშია. მოკლე ხანში დაიწყება გზების შეკეთება, რაც ზამთრამდე დასრულდება, კერძოდ ძნელდება ტფილის-მანგლისის და აღაპულაღის გზის შეკეთება. ამას სჭირდება 623,000 მან. განზრახულია, ეს ფული ხსენებულ გზის ახლო-მახლო მდებარე სოფლებს გადახდეთ, მაგრამ უკანასკნელი ძნელდება, რადგან ეს სოფლები დაზარალდა სეტყვისა, კალიისა და სხვა მიზეზებით.

აგრარული რეფორმის ცხოვრებაში გატარება.

ტფილისის სათემო ერობის რაიონში აგრარული რეფორმა კარგად ტარდება. ზოგან, როგორც მაგალ. ს. თელეთში რეფორმა უკვე დასრულდა, ხოლო სხვა სოფლებში მალე დამთავრდება.

სტატისტიკური კურსები.

ამას წინად შემდგარ რეპუბლიკის საერობო სტატისტიკოსთა ყრილობის დადგენილების თანახმად-ყრილობის მიერ არჩეულმა აღმასრულებელმა კომისიამ უკვე შეიმუშავა სტატისტიკური კურსების გეგმა. კურსების მოწყობა განზრახულია სექტემბრის მეორე ნახევარში.

საერობო დაწესებულებათა მოქმედების ანგარიში.

საერობო სტატისტიკოსთა ყრილობის აღმასრულებელი კომისია უკვე შეუდგა ყრილობის დადგენილებათა ცხოვრებაში გატარებას. კომისია იმუშავებს და მოკლე ხანში დაამთავრებს სტატისტიკურ ანგარიშთა შედგენის ფორმებს. კომისიამ უკვე შეიმუშავა საერობო დაწესებულებათა და წარმოებათა ანგარიშების ფორმები. ფორმები დამუშავების შემდეგ რესპუბლიკის ყველა ერობებს დაეგზავნება საგელმძღვანელოდ.

მუნიციპალური ცხოვრება

14 აგვისტოს შესდგა სიღნაღის თვითმართველობის ხმოსანთა კრება, რომელზედაც მიღებული იქნა შემდეგი რეზოლიუციები:

1) მიენდოს გამგეობას მოიწვიოს მიწის მზომელთა ჯგუფი, რომელთათვისაც საჭიროებამოითხოვს დამატებითს ჯამაგირს ქალაქიდან სიდგან და მთელი ხარჯის ნახევარი ნაწილი ეთხოვოს ქალაქთა კავშირს დახმარების სახით.

2) გამგეობის წევრმა გ. გოძიევმა გააკეთა მოხსენება, გააცნო კრებას საქმის შინაარსი და გამგეობის და იურიდიული კომისიის მოსაზრება და დადგენილება, რომ საქმის მოგება საოლქო სასამართლოში შეუძლებელი არის და საჭიროთ არა სცნობს საქმის გარჩევაზედ დასწრებას. კრებამ გამგეობის და იურიდიული კომისიის მოსაზრება და დადგენილება უკამათოთ ერთხმათ მიიღო.

3) გამგეობის წევრმა გ. გოძიევმა გააცნო კრებას მთელი მოხლები ხელშეკრულობისა ამხანაგობის „მოტორი-ს“ მხრით დარღვეული გამგეობისგან გაგზავნილი დეპეშების შინაარსი, რომ ქალაქს ელექტრონის სადგური რეკვიზიციის სახით არ ჩამოურთმევია ამხანაგობა „მოტორი“-სთვის, მხოლოდ რადგან ქალაქს სრულებით რამდენიმე თვე არ ეძლეოდა სინათლე და სადგურის გამგე ყოველ გამგეობის მოთხოვნილებას უყურადღებოთ სტოვებდა, ქალაქის გამგეობა იძულებული იყო გადაეყენებინა სადგურის გამგე და თანახმათ ხელშეკრულობისა, თავის თავზე მიეღო ქალაქის განათება იმ დრომდის ვიდრე ამხანაგობა „მოტორი“ სხვა გამგეს დანიშნავდა და მოაწყობდა ქალაქის განათებას; ასევე კრებას გააცნო გამგეობის და იურიდიული კომისიის დადგენილება რო საჭირო არის საქმის წარმოება სასამართლოში მივანდოთ ვექილს.

კრება რა გაეცნო გამგეობის და იურიდიული კომისიის დადგენილებას დაადგინა: საქმის წარმოება სასამართლოში მიანდოს ხმ. გ. დ. დაფქვიაშვილს, როგორც იურისტს.

4) ქალაქის ექიმთ მიეცეთ ჯამაგირი თანასწორათ ორი ათას ორი ათასი მან., ქალაქის ბებიას ნახევარი ექიმის ჯამაგირისა 1000 მან., ქალაქის თავს 2500 მან. და თითო გამგეობის წევრს 2200 მანეთი.

5) მიეცეთ ყასბებს თავისუფალი ვაჭრობა, დაადონ ყველა ხარისხოვან ხორცზედ შესაფერისი ნიხრი და მიიღონ ყოველივ მხრით სასტიკი ზომები რო დადებულ ნიხრ ზევით არ გაყიდონ ხორცი. ძველი ნიხრი დროებით ვიდრე გამგეობა ახალ ნიხრს შეიმუშავებდეს დარჩეს ძალაში; დაევალოს გამგეობას, რაც შეიძლება მალე შეიმუშავოს ახალი ნიხრი, ყველა ხარისხოვან ხორცზედ და მოიწვიოს საგანგებო კრება ნიხრის გადასაშინჯათ და დასადასტურებლათ. კრებამ რა მოისმინა მოხსენება, იქონია მსჯელობა და ერთხმათ მიიღო თავმჯდომარის შემოტანილი წინადადება.

6) მიენდოს გამგეობას 1. გააწეროს და აკრიფოს მოქალაქეთა და დროებით ქალაქში მაცხოვრებელთა შორის 500,000 მან., 2. მოიწვიოს განსაკუთრებული კომისია, რომელიც გადაათვალიერებს გამგეობისგნით შედგენილ მოქალაქეთა სიას და გაწერილ ფულის რაოდენობას და თუ კომისია დაინახავს საჭიროთ შეიტანს შესწორებას. მოწვეულ იყვნენ ვაჭრების ტ ხელოსნების ცეხებიდგან წარმომადგენელნი და განსაზღვრული ჯამი მათ გაინაწილონ თავიანთ შორის.

7) გააუქმოს წყალსადენის ბუტკებში წყლის გაყიდვა. მოაწყოს წყალსადენის კრანები ავტომატიურათ, რომ მოქალაქეთ თავისუფლათ შეეძლოთ წყლის მიღება, დაევალოს გამგეობას გამოარკვიოს რამდენი შეეძლება გადაახდევინოს აბონენტს წყალსადენის დასაფარავათ და შემდეგ კრებას წარმოუდგინოს.

მთავარ მომარაგების სამართველო

ლურსმების გადაცემა კოოპერატივთა კავშირისთვის.

რესპუბლიკის მთავარ სამმართველომ ამიერ-კავკასიის კოოპერატივთა კავშირს გადასცა 11 ათასი ფუთი ლურსმები, რომელიც ამას წინად მიიღო.

ჩაი.

მომარაგების მთავარ სამმართველომ უცხოეთის ერთ ფირმასთან დადებულ ხელშეკრულობის ძალით უკვე მიიღო დიდი ძალი ცეილონის ჩაი, საიდანაც 500 ფუთი ამიერ-კავკასიის კოოპერატივთა კავშირს გადაეცა და გაიყიდება გირვანქა 84 მანეთათ.

ხელშეკრულების დადება საქონლის შემოსაზიდათ.

მომარაგების მთავარმა სამმართველომ უცხოეთის სავაჭრო საზოგადოებებთან რამდენიმე ახალი ხელშეკრულება კიდევ დასდო სხვა და სხვა საქონლის შემოსაზიდათ.

ფართლეული.

უკვე ტფილისში მოვიდა და მომარაგების მთავარ სამმართველოს განკარგულებაში გადავიდა დიდი ძალი მანუფაქტურა, რომელიც მან ფრანგული ფირმის „ბირზოიან“-ისგან შეიძინა.

თამბაქოს დამზადება.

მომარაგების მთავარმა სამმართველომ სოხუმის ოლქში თავისი წარმომადგენლები გაგზავნა თამბაქოს დასამზადებლათ ადგილობრივ.

ფოლადი და რკინა.

ამ დღეებში მომარაგების მთავარ სამმართველოს ტფილისზე ჩამოუვიდა დიდი ძალი ფოლადი, სხვა და სხვა ხარისხის რკინა, თუჯი და აგრეთვე მწვანე და თეთრი საპონი და სხვა საქონელი, რომელიც მან დონის მხარეში შეიძინა.

ტანისამოსი.

მომარაგების მთავარმა სამმართველომ უცხოეთის ფირმა „მარშანთან“ ხელშეკრულება დასდო 40,000 წყვილი ტანისამოსის, ამდენივე ქუდის, სახვევის, თეთრეულის და ზამთრის მაუდის მოსატანათ.

შაქარი.

ტფილისში უკვე შემოვიდა და მომარაგების მთავარ სამმართველოს გადაეცა საზღვარგარედან შესყიდულ შაქარის ერთი ნაწილი.

თანამედროვე დემოკრატიის უფლება.

§ 5.

საკანონმდებლო ხელისუფლების ორგანიზაცია.

ერთპალატიანი თუ ორპალატიანი სისტემა.

თავის ბუნების შესაფერისათ, დემოკრატია ამკვიდრებს ერთპალატიან სისტემას; მის საარგებლოთ საბუთები მარტივეთაა ჩამოყალიბებული უკვე 1789 წ. საფრანგეთის დამფუძნებელ კრებაში. პირველთ ყოვლისა, დემოკრატიას არ სურს პრივილეგიები და წოდებანი, იგი ეშურება სახელმწიფოს მოქალაქეთა თანასწორობა. ამიტომ შემოღება პირველი პალატისა, რომელიც შედგენილ იქნებოდა პრივილეგიით აღჭურვილ პირებისაგან და წოდებრივ ინტერესების წარმომადგენლებისაგან,—აქ წარმოუდგენელია. „მე ვისწრაფოდი ერთი პალატის შემწეობით წოდებრივ არისტოკრატიის იარები განმეკურნებია“ (Thouret...) მეორეთ, სახალხო სუვერენიტეტი, რომელმაც სრული თავისი გამოხატულება კანონმდებლობაში უნდა მიიღოს, თხოულობს ერთობას, ვინაიდან მხოლოდ ამ ერთობას შეუძლია მისთვის უზრუნველყოს სრულ. ხელისუფლებოვანება. „სუვერენი არის ერთობლივი და უბრალო რამ, იმიტომ, რომ ის არის არც ერთის დაუკლებლივ—ყველას კრება: და რადგან საკანონმდებლო ხელისუფლება არის ერთობლივი და უბრალო, სუვერენი არ შეიძლება იქნეს გაყოფილი, ვინაიდან არ არსებობს ორი, სამი ან ოთხი სუვერენი. და მაშასადამე, პირიქით, თუ თქვენ ჰყოფთ საკანონმდებლო ხელისუფლებას ორ ან სამ ნაწილათ, მაშინ თქვენ სუვერენსაც ჰყოფთ ორ ან სამ ნაწილათ, და ეს კი არ ძალუძთ ადამიანებს, რადგან მათ არ შეუძლიათ მოიქმედონ ისე, რომ სუვერენი, რომელიც აუცილებლათ წარმოადგენს ყველას კრებას ერთ ერთბოლივში, იყოს სხვა რაიმე, ვინემ ყველას კრება ერთბოლივში“. ცხადია, რომ ეს უკანასკნელი საბუთი არსებითად დაკავშირებულია იმ წინასწარ პირობასთან, რომელიც არსებობს უმეშვეო დემოკრატიაში, როგორც იგი ესმოდა რუსსოს, და სახელდობრ: საკანონმდებლო ხელისუფლება როგორც საერთო ნება, volonté général, არის სუვერენულ ხალხის ერთადერთი წარმომადგენელი.

ამიტომაც ერთპალატიანი სისტემა, როგორც დემოკრატიული დაწესებულება, შემოღებულია მხოლოდ შვეიცარულ კანტონებში—საკავშირო კონსტიტუციაში შეუძლებელი იყო ამ სისტემის შემოღება საკავშირო სახელმწიფოს შექმნის გამო და მასთან აუცილებლივ დაკავშირებულ—წოდებრივ საბჭოში—ცალკეებრივ სახელმწიფოების წარმომადგენლობის გამო,—და შემოღებულია აგრეთვე ზოგიერთ ცენტრალურ-ამერიკულ რესპუბლიკებში, სახელდობრ: სან-დომანგო, პანამა, გონდურასი, კოსტ-რიკა, ნიკარაგუა, სალვადორი, გვატემალაში.

პრინციპიალურათ აღიარებულია, რომ როგორც დემოკრატია ხელისუფლების განაწილებითურთ, ისე პარლამენტარული დემოკრატია აუცილებლათ საჭიროებენ წმინდა სახალხო პალატასთან ერთად პირველ პალატასაც. დემოკრატია ხელისუფლების განაწილებითურთ საკანონმდებლო ხელისუფლების დანაწილებაში ხედავს მის დასუსტებას და და საშუალებას, რომლითაც წინააღმდეგობას გაუწევს საკანონმდებლო ხელისუფლების მიერ ხელისუფლების გადამეტებას დანარჩენ ორ ხელისუფლების მიმართ: აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების მიმართ „Federalist“ № 51. „მმართველობის რესპუბლიკანურ ფორმაში საკანონმდებლო ხელისუფლების ავტორიტეტი აუცილებლათ ბატონობს. ამ უხერხულობის საწინააღმდეგო საშუალებაა საკანონმდებლო ხელისუფლების დაყოფა სხვა და სხვა ნაწილათ“. პარლამენტარულ დემოკრატიაში პირველი პალატა აუცილებელ შემაკავებელია სახალხო პალატისა, რომელიც პარლამენტარულ რეჟიმის არსთან შეფარდებით, რასაკვირველია, ყველა სხვა დანარჩენ ხელისუფლებაზე ჭარბია. პრევო-პარადოლი ამბობს: „აღჭურვილი განსაკუთრებული და საყოველთაო ხელისუფლებით ხალხის შინაურ და საგარეო საქმეებში... ეს უძლიერესი კრება უნდა შეკავებულ იქნეს ორი საშუალებით: 1) მეორე კრების არსებობით, რომლის დახმარება აუცილებელი იქნება კანონების შესაქმნელათ და რომელიც გამოსთქვამს აგრეთვე თავის აზრსაც საერთო პოლიტიკის შესახებ“. ამიტომ უმრავლეს დემოკრატიაში ეხლა არსებობს ორპალატიანი სისტემა. რასაკვირველია, ამ სისტემას ის ნაკლი აწუხებს, რომ იგი ადვილათ იწვევს კონფლიქტებს საკანონმდებლო ხელისუფლების ორივე ნაწილს შორის.

მონარქიაში სამეფო ხელისუფლება ეხმარება ორივე ხელისუფლების შეთანხმებას. ამას გარდა მონარქიაში კონფლიკტის დროს სახალხო პალატის ნება ითვლება უფრო საპატიოთ, ვინაიდან იგი დამყარებულია საყოველთაო, თანასწორ და პირდაპირ საარჩევნო უფლებაზე, მაშინ როცა პირველი პალატა ამ უპირატესობით ვერ სარგებლობს. დემოკრატიაში ორივე პალატა ერთ ხნობამდე ღირებულება სწორია, რადგან ორივე დამკვიდრებულია ერთგვარ საარჩევნო საფუძველზე. საკანონმდებლო ხელისუფლების ამ ორ ნაწილა შორის რომ კონფლიკტი აცილებული იქნეს, საჭიროა სხვა საშუალება. ასეთი საშუალება ორია. ერთს ჰქვია **პალატათა შეერთება.** (Durchzählung). ორივე პალატა შეერთებულ სხდომაზ მსჯელობს და საკითხს სწყვეტს კოვ ფლიკტის შესახებ. ეს საშუალება უკვე საფ რანგეთის დამფუძნებელ კრებაში 1789 წ. წამოაყენა Dupont Wemours-მა როგორც დამატება ორ პალატიან სისტემისა: მე მო ვითხოვ,—სთქვა მან,—რომ ეს კრება, რომ ელიც უნდა იყოს ერთობლივი, გაიყოს მუშა ობისათვის ორ პალატათ... სენატი რომელიც უნდა შესდგებოდეს ჩვენ თანასწორ პირებისაგან, გაარჩევს წარმომადგენლების პალატის კანონ პროექტებს, განავითარებს იდეებს და გაატარებს იმ მოსაზრებებს, რომელთაც ის ხელმძღვანელობდა წარმომადგენელთა პალატის პროექტის მიღების ან უარყოფის დროს. სენატს შეუძლია სამჯერ მოითხოვოს თავისი აზრის განხორციელება. მიუხედავათ ამისა, თუ აზრთა სხვაობა პალატასა და მის შორის არ მოსპო, მაშინ ორივე პალატა უნდა შეიკრიბოს შეერთებულ სხდომაზე, რომ გამოიტანოს დადგენილება ამ საკითხის შესახებ ხმის უმრავლესობის მიხედვით. პალატათა შეერთების ეს საშუალება არსებობს ეხლა ამერიკის ზოგიერთ რესპუბლიკაში: ურაგვაი, პერუ, ეკვადორში.

საკანონმდებლო დარგში ორ პალატას შორის ატეხილ კონფლიკტების მოსასპობათ მეორე საშუალებას იძლევა ჩილის და პარაგვაის კონსტიტუცია,

ჩილიში, ყოველი კანონ პროექტი, მიღებული ერთი პალატის მიერ, ხელმეორეთ განსაბილველად შედის იმ პალატაში, რომელშიც იგი პირველათ იქნა შეტანილი. (ეგრეთ წოდებული პირველ დასაწყისითი პალატა) და თუ იქ იგი მეორეჯერ მიიღეს $^2/_3$ უმრავლესობით, მაშინ იგი პარლამენტის (კონგრესის) მიერ მიღებულად ითვლება, თუ მეორეჯერვე მეორე პალატა არ უარყოფს მას $^2/_3$ უმრავლესობით. პარაგვაიში მოქმედებს იურიდიული წესი, რომლის მიხედვით, იმ შემთხვევაში თუ პირველ დასაწყისითი პალატა უარყოფს მეორე პალატის მიერ წამოყენებულ შესწორებებს მისი პროექტის შესახებ, და თუ ეს მეორე პალატა მეორეჯერ განხილვის დროს მოითხოვს შესწორებათა შეტანას $^2/_3$ ხმის უმრავლესობით, მაშინ შესწორებანი მიღებულათ ითვლებიან პირველდასაწყისითი პალატის მიერ, თუ ეს უკანასკნელა არ უარყოფს მათ აგრეთვე $^2/_3$ უმრავლესობით. მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ ერთი პალატა **სავსებით** უარყოფს მეორე პალატის მიერ მიღებულ პროექტს, მაშინ ეს პროექტი არ შეიძლება შეტანილ იქნეს მეორეჯერ იმ პალატის სესიის განმავლობაში, რომელმაც უარყო იგი.

II. ორპალატიანი სისტემა მიღებულია უმრავლეს დემოკრატიაში, მაგრამ მისი ორგანიზაციის დროს მრავალი შემდგომი დაბრკოლება ხდება. ეს დაბრკოლებანი პირველად ყოვლისა მდგომარეობენ იმ გარემობაში, რომ ორივე პალატა მოწყობილი უნდა იქნეს ფართო საარჩევნო საფუძველზე, შეძლებისდაგვარათ საყოვლთაო, პირდაპირი და თანასწორი საარჩევნო უფლების საფუძველზე. მონარქიაში პირველი პალატის შექმნა ადვილდება განსაკუთრებულ კლასების და წოდების ანუ საპატიო ჯგუფების არსებობის გამო, მათი განსაკუთრებული ინტერესების გამო. სახალხო სუვერენიტეტზე და ყველა მოქალაქეთა თანხმობაზე დამყარებულ დემოკრატიას არ გააჩნია ასეთი ჯგუფები. თუ ორივე პალატა მართლაც დამყარებულია საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე, მაშინ ჩდება შემდეგი დაბრკოლება: როგორ განვასხვავოთ ორივე პალატა რომ მათ შეეძლოთ სხვადასხვა ნების საერთო ინტერესებში თავმოყრა. უფლებრივ წესს შეუძლია ეს დიფერენციობა სამი მიმართულებით გაატაროს: ან განსაკუთრებული კვალიფიკაციის დაწესებით სენატორის (პირველ პალატის წევრის) საბალოდებისათვის, ან ორივე პალატას შორის ფუნქციების ისეთი განაწილებით, რომ რომელიმე გარკვეული რწმუნებულება ეკუთვნოდეს მხოლოდ ერთ ერთ მათგანს, სხვა კი—მეორეს, ან წმინდა პროვანციულ ინტერესების გადატანით პირველ პალატაში, სენატში, ან სენატის არჩევნებისათვის უდიდეს საარჩევნო ოლქების შემოღებით.

1. განსაკუთრებული პირობანი (კვალიფიკაცია) სენატორის სახელწოდებისათვის.

მათ შეუძლიათ დააწესონ შემდეგი ზომები:

ა) სენატორი აირჩევა უფრო მეტი ვადით ვინემ სახალხო წარმომადგენელი. მაგალითად, ასეა კავშირის 24 შტატში: სენატორებს ირჩევენ 4 წლით, ნიუჯერსეიში 3 წლით, მაშინ როცა სახალხო წარმომადგენლებს კავშირის უმრავლეს შტატში ირჩევენ მხოლოდ ორი წლის ვადით (მხოლოდ ლუზიანაში ოთხი წლით), მასაჩუზეტსში, როდაილენდში, ნიუიორკში და ნიუჯერსეიში კი მხოლოდ ორი წლის ვადით.

ბ) სენატორის სახელწოდების ვადის დიდათ გაგრძელებას კავშირის უმრავლეს შტატში იმიტომ აღწევენ, რომ სენატისათვის დაწესებულია შემადგენლობის მხოლოდ ნაწილობრივი და არასრული განახლება როგორც ესაა სახალხო წარმომადგენლების პალატისათვის. ამის წყალობით ზოგიერთი სენატორი განსაკუთრებული პატივით სარგებლობს, რადგან იგი თავის პიროვნებაში წარმოადგენს პალატის განუწყვეტლობას. მაგრამ ცალკებრივ დემოკრატიაშიც გვხდება ჩვენ სახალხო პალატის ნაწილობრივი განახლებაც, მაგ. პერუში, სადაც ორივე პალატა განახლდება მხოლოდ ერთ მესამედში.

გ) სენატორის სახელწოდებისათვის საჭიროა მეტი ხნოვანება, ვინემ სახალხო წარმომადგენლობისათვის. ამას ადგილი აქვს უმრავლეს დემოკრატიაში.

დ) სენატორის სახელწოდებისათვის საჭიროა შტატში უფრო მეტი ხნით ცხოვრება არჩევნების მომენტამდე, ვინემ სახალხო წარმომადგენლობისათვის. ასე, მაგ., ამ ცხოვრების ვადა ნიუ-გემპშირში განისაზღვრება სენატორისათვის შვიდი წლით, სახალხო წარმომადგენლისათვის კი ორი წლით.

ვ) ზოგიერთ დემოკრატიაში სენატორათ არჩევისათვის საჭიროა კიდევ განსაკუთრებული, ქონებრივი ცენზი, მაგ., დელაერი, გაიტში, კოლუმბიაში და სხვ. ჩილიშ სახალხო პალატის არჩევნებისათვისაც შემოიღო ქონებრივი ცენზი (500 პეზეტი), რომელიც სენატორისათვის ცენზზე უფრო ნაკლებია (სენატორისათვის—2.000 პეზეტი), ამგვარივე გარკვევას აქვს ადგილი ბოლივიაშიც.

2. ფუნქციების განაწილება.

ფუნქციების განაწილება იმაში მდგომარეობს, რომ უმაღლეს სახელმწიფოებრივ მოხელეებზე ბრალდების წამოყენების დროს, სახალხო პალატა მათ პასუხისგებაში აძლევს და სენატს კი გამოაქვს განაჩენი, შემდეგ მასში რომ ფინანსური კანონები პირველათ სახალხო პალატაში უნდა იქნენ შეტანილი. მაგრამ სამხრეთ-ამერიკის რესპუბლიკებში მკვიდრდება ფუნქციების უფრო დაწვრილებითი განაწილება. მაგ. ასე, სავადორში სენატს ეკუთვნის კიდევ განსაკუთრებული რწმუნებულება უდანაშაულოთ დასჯილ პოლიტიკურ მოღვაწეთა რეაბილიტაციის შესახებ, იგივეა კოლუმბიაში, სადაც ამას გარდა, სენატს ეკუთვნის ომის გამოცხადება, უცხო ჯარის გატარების ნება, პრეზიდენტისათვის მისი რეზიდენციიდან წასვლის დროს თავისუფლების მიცემა, პრეზიდენტის მიერ თანამდებობაზე ზოგიერთ დანიშვნათა დამტკიცება და სხ. ბალივიაში სახალხო პალატას უმაღლეს მოხელეთა პასუხისგებაში მიცემის უფლების გარდა ეკუთვნის აგრეთვე უფლება უმაღლეს სასამართლოში მოსამართლეების დანიშვნა სენატის მიერ წარდგენილ საკანდიდატო სამი პირისაგან შემდგარ სიის მიხედვით.

სენატს სხვათა შორის ეკუთვნის განსაკუთრებითი რწმუნებულება ნება მისცეს მოქალაქეებს მიღონ ტიტულები და ატარონ ორდენები უცხოეთის მთავრობისა, დაასაჩუქროს ისინი საჯარო ჯილდოთი.

ვენეციელაში დეპუტატთა პალატას აქვს განსაკუთრებული უფლება გამოუტანოს მინისტრებს უნდობლობის ვოტუმი და აირჩიოს გენერალ-პროკურორი. მაგრამ დანარჩენშიც კონსტიტუცია მიუწერს, რომ თვითეულ ამ ორივე პალატას ეკუთვნის ის ფუნქციები, რომელიც მას მიცემული აქვს კანონით ამის წყალობით არსებობს იმის შესაძლებლობა, რომ თვითეული პალატა შეიძლება იქნეს აღჭურვილი განსაკუთრებული ფუნქციებით ჩვეულებრივ კანონმდებლობის გზით.

3. განსაკუთრებულ პროვინციულ ინტერესების წარმომადგენლობის გადატანა სენატში.

მაშინ, როცა სახალხო პალატა ირჩევა წმინდა რიცხობრივ საფუძველზე, ვინაიდან ერთი დეპუტატი მოდის მოქალაქეთა განსაზღვრულ რიცხვზე, მიუხედავათ შემდგომი ტერიტორიალური საზღვრებისა, სენატორები ნაწილდებიან პროვინციულ და კომუნალურ კავშირებზე. ასე, მაგ., სამხრეთ კაროლინაში და ნიუჯერსეიში თვითეული საგრაფო ირჩევს თითო სენატორს. ამასვე ვხედებით ჩვენ როდ ალეინდში და მერილენდში და ზოგიერთ სამხრეთ-ამერიკულ რესპუბლიკაში, როგორიცაა კოლუმბრია, ჩილი, პერუ, ბოლივია.

4. კავშირის შტატებში სენატის არჩევნებისათვის უფრო დიდ და ფართო საარჩევნო ოლქების შემოღება ცნობილი საშუალებაა ორივე პალატის დეფერენციებისათვის. ასე, მაგ., ნიუ იორკის კონსტიტუცია მიუწერს, რომ სახალხო პალატის თვითეული საარჩევნო ოლქი მთლიანათ შედიოდეს სენატის საარჩევნო ოლქის ფარგლებში. ამით და ამგვარი მიწერილობით იმას აღწევენ, რომ სენატორთა რიცხვი საგრძნობლათ მცირეა, ვინემ სახალხო წარმომადგენლების რიცხვი.

პარლამენტარულ დემოკრატიას, რომელიც იძულებული არაა დაიცვას ხელისუფლებათა განაწილება და მასთან დაკავშირებული წონასწორობა (äquilibrium) ორივე პალატისა. აქვს შესაძლებლობა ისეთი დიფერენცია უქნას მათ, რომ ან სახალხო პალატა ირჩევდეს სენატს ან სახალხო წარმომადგენლები სხვა ამრჩევლებთან ერთად ადგენდენ ერთ საარჩევნო კოლეგიას, რომელიც აირჩევს სენატს. პირველ გზას დაადგა გაიტი, საფრანგეთმა აირჩია მეორე გზა. ამ რესპუბლიკაში სენატი შესდგება 300 წევრისაგან, რომლითაც ირჩევენ დეპარტამენტების საარჩევნო კოლეგიები, რომელნიც შესდგებიან დეპუტატებისაგან, გენერალურ მრჩევლებისაგან საოლქო მრჩევლებისაგან და ამ დეპარტამენტის სათემო საბჭოს წარმომადგენლებისაგან.

უცხოეთში

(საქ. დეპ. სააგ.).

ენკენისთვის 2.

ფრანგული პრესა.

უმაღლესმა საბჭომ მოიწონა ავსტრიის ხელშეკრულების რედაქცია. ორივე საბუთი უკვე იბეჭდება; სამშაბათს მათ რენნერს გადასცემენ და 5 დღის ვადას მისცემენ საბოლოო პასუხის გასაცემად.

გუშინ პალატამ მოისმინა ბარისის მოხსენება. ბარისი თხოულობდა, რომ მთავრობამ შესწყვიტოს პოლიტიკა... (გაუგებარია) ალბერტ ტომას, რომელსაც სურს, რომ საფრანგეთის და გერმანიის ურთიერთობამ გარკვეული ფორმები მიიღოს.

იტალიური პრესა.

უკრაინის ჯარი სამხრეთიდან წინ მიიწევს, მიაღწია მდ. დნეპრს და კიევიდან 15 კილომეტრის მანძილზე სადგ. ბოიარკა აიღო.

ტურინის გაზეთების გადმოცემით, ბელგიის მეფე დედოფალი შეერთებულ შტატებში გაემგზავრა.

გენ. პერშინგმა სექტემბრის 1 პარიზი დატოვა.

ქ. ფიუმემ იტალიის გრენადერთა მეორე პოლკს ოვაციები გაუმართა და დიდი სიმპატია გამოსთქვა I პოლკისადმიც.

ვენეციაში მოვიდა ინგლისის გემი სამხედრო ტყვე-გერმანელებით, მათშორის გერმანიის აღმოსავლეთის ჯარების ყოფილი მთავარ-სარდალი გენ. სანდერსი, რომელიც ვერონა-ალას მატარებლით მაშინვე გაიგზავნა გერმანიაში.

ინგლისის მთავრობამ იტალიასავით საჭიროდ აღიარა დიდი ხელმომჭირნეობის აუცილებლობა. ამ მიზნით შესდგა ფინანსიური კომისია ლოიდ ჯორჯის მეთაურობით.

ავსტრიის გაზეთები აღნიშნავენ, რომ იტალიის ჯარი კლაგენფურტში უალრესად თუდაჭერილად იქცეოდა, იტალიელები სამხედრო უბედურებათაგან მხნეობიდან სულიან და ამ ნაირად გაჰქრა ძველი მტრული განწყობილება. დემიუის მცხოვრებნი მთელი ოლქის სახელით თხოულობენ, რომ ეს ადგილი იტალიის ჯარმა დაიპყროს.

იტალიის რკინის გზათა კომისიამ დაადგინა არ გაადიდოს სათბობი მასალის, სურსათსანოვაგის და ნედლი მასალის გადაზიდვის ტარიფი.

„დეილი ტელეგრაფ"-მა გამოაქვეყნა დ რ ვირგილე გაიდის ვრცელი წერილი, რომელიც ასწერს იტალიის ხალხის ტანჯვას ომის შემდეგ და პროტესტს უცხადებს ცილის წამების გამო. გაზეთი თანაგრძნობით ეპყრობა ამ წერილს და იმედს გამოსთქვამს, რომ ინგლისის მთავრობა მთელ თავის გავლენას იხმარს, რათა მოლაპარაკება ისე დასრულდეს, რომ იტალიის ეროვნული მისწრაფებები დაკმაყოფილებულ იქნეს.

მოსკოვი, 1 ენკენ. ც. ა. კ. ბ. ბ. ბიულეტენი.

მოსკოვი, სექტ. 1. სამხ. ცნობა. ჩრდილოეთის ფრონტი. არხანგელის რაიონში მოწინააღმდეგე მდ. ელეცის იქით გაკდევნეთ. დასავლეთის ფრონტი. ლუგის რაიონში ხმაროს ტბის ჩრდილოეთით მოწინააღმდეგემ ჩვენ ჯარს დაახევინა მდ. საბამდე, რომელიც სად. სტრუგადან 25 ვერ. მანძილზეა. პსკოვის რაიონში ჩვენი წინსვლა მარჯვენ ვითარდება. დვინსკის ხიდის სიმაგრეებთან ბრძოლაა. აღმოსავლეთით ჩვენი ჯარი მტრის ძალდატანებით მდ. დვინის დასავლეთის მარჯვენა მხარეზე გადავიდა. პლოცკის რაიონში აიღო სად. ზაგოტიე და დაბა პიშვო.

მოქალაქეთა საყურადღებოთ

სასურსათო განყოფილებამდის მოაღწია ცნობებმა, რომ ზოგიერთი სარაიონო კომიტეტები, რომლებიც განყოფილებიდან ღებულობენ სხვა და სხვა სურსათს მცხოვრებლებზედ გასანაწილებლად და დასარიგებლად, ჰყიდიან უცხო პირებზე და მაღალ ფასებში, როგორც მაგალითად: 1 უბნის 1 სარაიონო კომიტეტმა და მე-7 უბნის მე-7 დე სარაიონო კომიტეტმა გაჰყიდეს საპონი ნიხრის ზევით მეტფასებში.

აღნიშნულ სარაიონო კომიტეტების წევრებს უკვე აეკრძალათ სურსათის გაცემა. რაიონებს, რომელთაც გაჰყიდეს ის, მიეცათ წინადადება ახალი შემადგენლობის სახით დაარსონ კომიტეტები. კომიტეტების წევრთა საქმე კი გადაეცა სისხლის სამართლის მილიციას დამნაშავეთა პირების პასუხისგებაში მისაცემად.

სასურსათო განყოფილება სთხოვს ყველა მოქალაქეთ ფხიზლად ადევნონ თვალი სარაიონო და ბინის კომიტეტების მოქმედებას და იმ შემთხვევაში, როდესაც შეამჩნევენ ბოროტმოქმედებას, აცნობონ სასურსათო განყოფილებას.

სასურსათო განყოფილების ინსტრუქტორებს მიეცათ წიხადადება, რომ ხშირათ ინახულონ ხოლმე სარაიონო კომიტეტები და ბეჯითად ადევნონ თვალი მათ მოქმედებას.

ბოროტმოქმედებაში შემჩნეულნი სარაიონო კომიტეტების წევრნი დაუყოვნებლივ იქნებიან მიცემულნი პასუხისგებაში.

ქალაქის თვითმართველობის

სასურსათო განყოფილება

ტფილისის თვითმართველობაში

წ ყ ა ლ ი.

როგორც მკითხველებს მოეხსენებათ ქალაქის საბჭომ დაამტკიცა გამგეობის წევრის ი. ბესელიძეს მოხსენება ნატახტარის და ბულაჩაურის წყაროების გამოკვლევის შესახებ, რათა ორივე ვარიანტის აღსასრულებელ ხარჯთაღრიცხვათა და პროექტების მიხედვით აირჩიოს ერთი მათგანი. წალკის წყაროების საკითხი ტეხნიკურ დაბრკოლებათა გამო უქმდე-

ბა. ორივე ვარიანტის გამოსარკვევათ საჭიროა 700000 მან., აქედან 400000 მან. ბულაჩაურის პროექტისათვის, ხოლო 300000 მან. ნატახტარის პროექტისათვის. რადგანაც ბულაჩაურის წყაროები ზამთარში $1^1/_2$ მილიონ ვედრო წყალზე მეტს არ იძლევა (ზაფხულში კი—5 მილ. ვედრომდე), ტფილისისათვის საკმაო წყალის დანარჩენი ნაწილი მდ. არაგვიდან იქნება გამოყვანილი, რისთვისაც საჭიროა ფილტრების გაკეთება. ნატახტრის წყაროების გამორკვევის დროს ხეცდველობაში იქნება მიღებული ის გარემოება, რომ საჭირო გახდება გადასაქაჩავ მანქანის მოწყობა ქვემო ჰაუზიდან ზემო ჰაუზში დღე ღამეში 2 მილიონ ვედრო წყლის გადასაქაჩავათ. ვარიანტების გამოსარკვევად საჭირო მუშაობის ხელმძღვანელობა დაევალა ინჟენერ ჰ. მამრაძეს, ხოლო მის მრჩევლებათ დაინიშნენ ინჟ. ქურდიანი და ინჟ. ოზეროვი.

ქალაქის გამგეობამ დანიშნა განსაკუთრებული საკონტროლო კომისია, რომელშიაც შედის ინჟ. დიასამიძე, ხმოსანი ჰ. გოთუა და ერთიც ქალაქის კონტროლის წარმომადგენელი. ამ კომისიას ევალება გამოარკვიოს პერიოდიულათ გაკეთებულ სამუშაოს რაოდენობა და თვალყური ადევნოს, თუ რამდენად ნაყოფიერათ და მიზან შეწონილათ სწარმოებს მუშაობა. კომისიამ კვირაში ერთხელ უნდა ინახულოს ის ადგილი, სადაც მუშაობა სწარმოებს და შეადგინოს კომისიის მუშაობის აქტები, რომელიც გამგეობას წარედგინება შესაფერი განკარგულებათა მოსახდენათ.

სახელმწიფო უნივერსიტეტში

თხოვნების მიღება.

ვინაიდან ბევრი აღმოჩნდა ისეთი, რომელთაც სახელმწიფო უნივერსიტეტში შესვლა ჰსურთ, მაგრამ სხვა და სხვა პატივსადებ მიზეზთა გამო თხოვნის შეტანა დროზე (31 აგვისტომდე) ვერ მოუსწრიათ, ამიტომ თხოვნების მიღება უნივერსიტეტში სტუდენტად ჩარიცხვის შესახებ გაგრძელდება 5 სექტემბრამდე იმ ფაკულტეტზე, რომელზედაც მთხოვნელი რიცხვი დადებულ ნორმას აღემატება, ატესტატების კონკურსი მოხდება.

მილიციაში

მე-8 უბნის კომისარი ს. ბოლქვაძე ამავე უბნის მცხოვრებთა საყურადღებოთ აცხადებს:

თანახმად დამფუძნებელი კრების დეკრეტისა, რომელიც დამტკიცებული იქნა 27 ივნისის და 19 ივლისის ამა წლის თანახმად გენერალური შტაბის უფროსის ტელეფონოგრამისა ქალაქის მოურავისადმი 747 ნომრით ვაცხადებ მცხოვრებთა საყურადღებოდ, რომ ახალგაზრდები, რომლებიც დაბადებული არიან 1896—1897 და 1898 წელში და თავის ნებით არ გამოცხადდებიან სამხედრო უფროსთან სამსახურის მოსახდელად კანონით დაისჯებიან როგორც ჯარიდან გაქცეულნი, არა ნაკლებ დაისჯებიან ის პირებიც, რომლებმაც იციან დეზერტირები და დროზე არ განაცხადებენ სათანადო ადგილზე და ვაძლევ წინადებას როგორც კერძო დაწესებულებებს, აგრეთვე სახლის პატრონებსაც, რომელ გადაათვალიერონ თავის ბინის წიგნაკები, რათა ჩაუწერავი არავინ იყოს დარჩენილი, უკანასკნელ შემთხვევაში, როგორც ადმინისტრატიულათ აგრეთვე სამხედრო კანონების ძალით პასუხის გებაში იქნებიან მიცემული.

—

